საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 44

ოთხშაბათი, ოქტომბრის 12

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩხუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

ძმური დახმარება

ორშაბათიდან დაიწყო ტფილისში ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოდ შეწირულებათა შეგროვების კვირა. ამ საქმეზედ მუშაობს სპეციალური კომისია, რომლის მოწოდებასაც ქვემოდ ვათავსებთ და დარწმუნებულნი ვართ ფართე გამოძახილს ჰპოვებს მოქალაქეთა შორის. ქართველების ქველობა ცნობილია და მათ ეს თვისება დღესაც უნდა გამოიჩინონ, მიუხედავად საკუთარი გაჭირვებისა. მით უფრო, რომ ჩვენი გაჭირვების შედარებაც კი არ შეიძლება იმ უბედურებასთან, რომელიც თავს დაატეხა ულმობელმა სტიქიამ ვოლგის მხრის მცხოვრებლებს. საშინელმა სიცხეებმა სრულიად ამოწვა ყანები და მოსავალი სავსებით მოსცდინა. დაიმშა თერთმეტი გუბერნია 35 მილიონი მცხოვრებით. და ეს მაშინ, როცა რუსეთი ისედაც აუტანელ გაჭირვებას განიცდის, როდესაც მთელი ბურჟუაზიული ქვეყანა მის წინააღმდეგაა ამხედრებული და მის გასრესას ან დამორჩილებას ცდილობს.

მაგრამ რუსეთს მეგობრებიცა ჰყავს. ესენია მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი, რომლისთვის და რომლის იმედითაც რუსეთმა თავი გასწირა, დაივიწყა ყველაფერი და უმაგალითო გმირობა გამოიჩინა, ჯერ არ გაგონილი გამძლეობა დაგვანახა. ასეთ ხალხს ულმობელმა სტიქიამ ცეცხლზედ ნავთი დაასხა.. მაგრამ რევოლუციონური რუსეთი მაინც გულს არ იტეხს, მაინც იბრძვის საკაცობრიო იდეალებისათვის! მას ვერაფერმა ქედი ვერ მოახრევინა! საარაკოა ასეთი გაუტეხელობა, მომხიბლავია ასეთი სულიერი სიმტკიცე!

დახმარება ასეთი ხალხისა ყოველი პატიოსანი, ყოველი რიგიანი ადამიანის მოვალეობაა. და აკი მთელი ქვეყანა გამოეხმაურა რუსეთის გასაჭირს. ყველგან, ყველა სახელმწიფოში გროვდება შეწირულებანი და იგზავნება რუსეთში. მართალია სხვაგან, მაგ. ევროპაში ისეთი გაჭირვება არ არის როგორც ჩვენში, იქ მეტის გაღება შეუძლიათ და ჩვენ კი ბევრი არაფერი გაგვაჩნია, მაგრამ „კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“. მცირედის გაღება კი ყველამ უნდა შევსძლოთ. „ერთი თხილი ცხრა ძმამ გაიყოო“, ქართული ანდაზაა. გავამართლოთ ეს ანდაზა დღეს, გავუყოთ დამშეულ რუსეთს ჩვენი ღარიბი ულუფა.

მით უფრო, რომ არც ასეთ გაჭირვებაში მყოფი რუსეთი ივიწყებს ჩვენს საჭიროებას და დახმარებას გვიწევს. დღემდის მას გამოუგზავნია ჩვენთვის 69 მილიარდის სალირალი სურსათ-სანოვაგე. ეხლა კიდევ გამოუგზავნა მთელი მოწყობილობა საქსოვი ქარხნისა, ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ საკუთარმა გაჭირვებამ სხვისი გაჭირვებაც არ უნდა დაგვავიწყოს.

ჩვენ მოუწოდებთ ტფილისის მოქალაქეებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დამშეულთა დახმარების აღმოჩენაში და შესწირონ მათ სასარგებლოდ ვისაც რა შეუძლია.

მოწოდება ტფილისის მოქალაქეთ

მოქალაქენო! დღეს იწყება ქალ. ტფილისში „შეწირულებათა შეგროვება, ვოლგის მხარის დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

თქვენთვის საჭირო არ არის ვოლგის დამშეულ მოსახლეობისათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის მტკიცება, რადგან ყველამ კარგად იცით, თუ რა ხდება დამშეულ ადგილებში.

დამშეულთა გაჭირვება უდიდესია და მის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ყველამ გაუწოდოს მათ დახმარების ხელი. და ეს დახმარება ყოველმხრიდან მოდის. მთელი მსოფლიოს მშრომელნი, ყველა პატიოსანი მოქალაქენი ისწრაფვიან აღმოუჩინონ დამშეულთ ეს დახმარება.

საქართველოს მოსახლეობაც გამოეხმაურა ამ მოწოდებას და დამშეულთა სასარგებლოდ შეწირულობას არ იშურებს. მაგრამ დღევანდლამდე ყველა შემოწირულებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ამ საქმეში ყველა მცხოვრებლები არ იღებდნენ მონაწილეობას.

ახლა ვოლგის მხრისათვის დახმარების აღმომჩენი კომიტეტი შეუდგა შეწირულებათა უფრო სისტემატიურად შეგროვებას, რამაც დიდი პრაქტიკული შედეგი უნდა მოგვცეს.

ამ მიზნით ეწყობა „ქალ. ტფილისში შეწირულებათა შეგროვების კვირა“, რომლის განმავლობაში სპეციალური შემკრებელნი შემოივლიან ტფილისის ყველა სახლებს.

ამნაირად, ამ კვირაში ყოველ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა დაეხმაროს ვოლგის მხარის დამშეულთ.

მოქალაქენო, კომისია მოგმართავთ თქვენ მოწოდებით ფართოდ გამოეხმაუროთ ამ საქმეს და აღმოუჩინოთ შესაძლებელი დახმარება. შემოსწირეთ სურსათ სანოვაგე, თეთრეული, ტანსაცმელი და სხვა, რასაც კი მწვავედ საჭიროებს დამშეულ ადგილების მოსახლეობა.

ტფილისი მდიდარი ქალაქია, მცხოვრებთ მოეპოვებათ ზედმეტი რამ, რომლითაც ისინი ვალდებულნი არიან დამშეულთ დახმარება აღმოუჩინონ. და რაც უფრო მეტს და ხალისით გაიღებს შეწირულებას ტფილისის მცხოვრებნი, მით უფრო წარმატებით ჩატარდება ეს კამპანია მთელს რესპუბლიკაში.

მოქალაქეობრივი მოვალეობა მოგიწოდებთ თქვენ გაიღოთ მცირე შეწირულება და ეს მოვალეობა თქვენ უნდა შეასრულოთ.

ტფილისის მოქალაქენო! გახსოვდეთ რომ დღეს იწყება შეწირულებათა მოგროვება დამშეულთა სასარგებლოდ, და ამ საქმეს თქვენ მხურვალედ უნდა გამოეხმაუროთ.

ვოლგის მხრის დამშეულთათვის ქალ. ტფილისში შეწირულებათა შემკრები კომისია.

პრესა

„შრომის“ № 2-ში ლ. შენგელაია ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას და სხვათა შორის შემდეგსა სწერს:

„ცნობილი რევოლუციონერი ლიბკნეხტი (მამა) ამბობდა: „მე ორი იდეას ვემსახურები: ერთი არის თავისუფალი მთლიანი გერმანია, მეორე მუშათა კლასის ემანსიპაცია“. ჩვენც დაახლოებით ასევე ვმსჯელობთ.

დამოუკიდებელი თავისუფალი საქართველო და მშრომელი ხალხის კეთილდღეობა, აი ის ორი უდიდესი საქმე, რომელიც უნდა ვაკეთოთ, რომელსაც მთელი არსებით უნდა ვემსახუროთ.

როდესაც ქართველი ქართველზე ბატონობს, აქ არის უდიდესი, მაგრამ ერთი ბოროტება—კლასობრივი ჩაგვრა.

როდესაც ქართველი სომეხზე ბატონობს ან სომეხი ქართველზე—აქ არის ორი უდიდესი ბოროტება: ჩაგვრა კლასობრივი და ეროვნული. ამის არ დანახვა, არ გაგება შეუძლებელია, შეუწყნარებელია.

სრულს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ერებს მხოლოდ სოციალიზმი მიანიჭებს. ეს ჩვენთვის აქსიომაა. ამიტომ ჩვენი ყურადღების ცენტრი, უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს სოციალისტური რევოლუცია, მისი გამარჯვება. მას უნდა მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალღონე, მისკენ უნდა იყოს მიქცეული მთელი ჩვენი ნებისყოფა და მთელი ჩვენი გონება.

მაგრამ აქ ერთი პირობა აუცილებლად უნდა დავიცვათ: არავითარ შემთხვევაში ისე არ უნდა მოვიქცეთ, ისე არ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ვინიცობაა სოციალიზმი ვერ დავამყაროთ, დამოუკიდებლობაც დავკარგოთ. ჩვენ ვართ პატრიოტები სოციალიზმის, ჩვენ ვართ პატრიოტები თავისუფალი დამოუკიდებელი და სოციალისტური საქართველოსი!.. ვისაც სურს ჩვენში გაძლიერდეს შოვინიზმი, გაძლიერდეს ბურჟუაზია, უნდა აწარმოოს ანტიეროვნული პოლიტიკა. სწორი ეროვნული პოლიტიკა უებარი საშუალებაა შოვინიზმის დასაძლევად, მის აღმოსაფხვრელად.

მე მინდა ეს გაიგონ ამხანაგ კომუნისტებმა.

ბოლშევიკების გამარჯვებამ რუსეთში მეტად ხელი შეუწყო ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

მე მინდა რომ ბოლშევიკების გამარჯვებამ საქართველოში სამუდამოდ განამტკიცოს იგი დამოუკიდებლობა!..

არა გაერთიანება, არამედ კავშირი არა დამორჩილება, არამედ დახმარება! ასე გვესმის ჩვენ ჩვენი დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან, მით უფრო სოციალისტურ სახელმწიფოებთან“.

ახალი ამბები

— უცხო ენების პირველი კურსები თამარ თაქთაქიშვილისა. კურსების მიზანია—ორი წლის განმავლობაში მოამზადოს მსმენელი იმდენად, რომ მას შეეძლოს ამ უკანასკნელთა ენების სწავლება პირველ დაწყებითი სასწავლებელში. გერმანულ ენის მასწავლებლად მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ილია ყიფშიძე. კურსები მოთავსებულია ეკატერინე გაბაშვილის სახლში გაბაშვილის შესახვევი № 3. დაწვრილებითი ცნობები—კანცელარიაში 5—7 საათამდე. სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს საღამოს ექვს (6) საათზედ.

— ტფილისის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ დაათავა ასი კუბიკური საჟენი შეშის დამზადება თელავის სატყეო უბანში.

— თანახმად რევკომის განკარგულებისა, საქართველოს რკინისგზების უფროსი აცხადებს, რომ ბათომის, ქუთაისის ფოთისა და თელავის ხაზებზე 10 ოქტომბრიდან ყველა სამგზავრო მატარებლებზე მიბმული იქნება საგანგებო ვაგონი მოწაფეებისათვის უფასოთ. უფასო მიმოსვლა მოწაფეებისათვის გრძელდება 25 ოქტომბრამდე.

— შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა დაწვრილებითი ინსტრუქცია რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მილიციისა.

რუსეთი

მოსკოვი. უკრაინაში ბანდიტიზმს ბოლო ეღება. უფრო მსხვილ ბანდიტთა ბრბოები განადგურებულია. მახნო რუმინიაში გაიქცა, მისი დამხმარე ბრბო გაწყვეტილია.

მოსკოვი. სარატოვის ქვეითა ჯარის კურსებმა იდღესასწაულა თავისი 3 წლის არსებობა. კურსებმა სამი წლის განმავლობაში გამოუშვა 1000 წითელი სარდალი, კურსანტებმა მონაწილეობა მიიღეს ბანდიტიზმის ლიკვიდაციისათვის.

მოსკოვი ყირიმის გარე-ვაჭრობამ მოამზადა საზღვარ-გარეთ გასატანათ 1 80.000 ფუთი სხვა და სხვა ტვირთი. მათ შორის არის ახალი, თამბაქო, ღვინო. ნოხები და მარილი. სევასტოპოლში ჩამოვიდა იტალიის დიდი გემი რომელმაც ჩამოიტანა 12.000 ფუთი ფქვილი, რძე, შაქარი, მანუფაქტურა და მედიკამენტები.

მოსკოვი. ფრანგული გაზეთი „მატენი“ მოუწოდებს გამოყენებული იქმნას შავი ზღვის პორტი რუსეთის ბავშვთა დიდი ნაწილის 12—14 წ. საფრანგეთში გასაყვანად. გაზეთი მოუწოდებს რომ შექმნილი იქმნას ამ მიზნით განსაკუთრებული კომისია. ერთი ფრანგი მდიდარი ვაჭარი სურვილს აცხადებს, რომ გამოყენებული იქმნას რუსის ბავშვები საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო მუშაობისათვის და თითოეულ თავშეფარებულ ბავშვს პრემიათ 1000 ფრანკი დაენიშნოს. გამოურკვეველია, რა უფრო სჭარბობს ამ წინადადებში—მოწყალება თუ თავხედობა.

კიევი. 6 ოქტომბერს ვარშავაში გაემგზავრა სრულუფლებიანი წარმომადგენელი უკრაინის მთავრობისა, ხარკოვში მოელიან პოლონეთის წარმომადგენელ კულცკის ჩამოსვლას.

მოსკოვი. უკანასკნელ დროს რუსეთ-პოლონელთა გამწვავებულ მდგომარეობის გამო სრულუფლებიანი რუსეთის სოც საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელს პოლონეთში კარახანის და ვიცე-მინისტრმა დომბსკის მიერ წარმოებულმა მოლაპარაკებამ ვარშავაში შედეგათ ორთავე მხარე შეთანხმებამდე მიიყვანა ყველა სადაო საკითხებში, რომელიც წამოყენებული იყო უკანასკნელ ნოტების გაცვლის დროს.

მოსკოვი. ვარშავიდან გაემგზავრა ხარკოვს პოლონეთის დიპლომატიური მისია.

მოსკოვი. იტალიის საგარეო სამინისტრომ უარი განაცხადა ამხ. ლუნაჩარსკის იტალიაში შესვლისათვის კომპარტიაში მონაწილეობის მისაღებათ. წინად მიცემული ნებართვის გაუქმება გამოწვეულია მემარ. ფაშისტების ზეგავლენით.

მოსკოვი. სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა და ხელოვნებას მუშაკთა ყრილობაზე არჩეული იქმნა გაერთიანებული ცენტრალური კომიტეტი ახალი გაერთიანებული „კავშირისა. კავშირთა გაერთიანება ადგილობრივად უნდა დასრულდეს 1 იანვრამდე 1921

მოსკოვი. გამბურგში გაიფიცნენ ასოთამწყობები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ ტარიფით. გარდა კომუნისტებისა და დამოუკიდებელთა სხვა გაზეთები არ გამოდის.

მოსკოვი. ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს ბრიუსელის კონფერენციაზე, რომ მათი მთავრობა წინააღმდეგია გაუხსნას რუსეთს კრედიტი, სანამ საბჭოთა მთავრობა არ მიიღებს პრინციპს საერთაშორისო სამართლისას.

უცხოეთი

კონსტანტინოპოლი. კონსტანტინოპოლის პრესის ცნობით, ჩრდილოეთ ეპირში და ალბანიაში ძლიერი ღელვებაა ბერძნების წინააღმდეგ. ალბანელები ასახლებენ ქალაქებიდან ბერძნებს. ზოგიერთ ქალაქებში ბერძნებსა და ალბანელებს შორის მოხდა შეტაკებანი.

იქვე. კონსტანტინოპოლის ცნობებით ოსმალების ჯარები წარმატებით წინ იწევენ. ქემალისტების ახალი პოზიციები იმდენად ხელსაყრელია, რომ იგი სახიფათო მდგომარეობაში აგდებს დახეულ ბერძნების ძალებს.

ნაუენი. საფრანგეთის ბიუჯეტის საბოლოო გამორკვევამ აჩვენა 24 მილიარდი ფრანკი დეფიციტი.

ნაუენი. იტალიის პრესა იტყობინება რომ სერბია გამალებით ემზადება სამხედრო გამოსვლებისათვის ალბანიის წინააღმდეგ.

ნაუენი. ხარტუმიდან მიღებულ ცნობებით მტკიცდება ის ხმები, რომ სამხრეთ სუდანში დაიწყო აჯანყებანი ინგლისელების წინააღმდეგ.

ნაუენი. ლეიპციგის სასამართლოს პროკურორმა გამოაქვეყნა ბრძანება პაპისა, ყოფილი მთავრობის წევრების დაჭერის შესახებ.

ნაუენი. დეილი ტელეგრაფის ცნობები ლონდონში უმუშევართა სერიოზული მღელვარებების შესახებ. მღელვარებანი მუშათა შორის აიხსნება სურსათის სიძვირით.

ლონდონი. „ტაიმსში“ გამოქვეყნდა დამატებითი ცნობები, რომელიც მიღებულ იყო ნიუ-იორკიდან, სახელწოდებით „სამოქალაქო ომი“, სადაც მოყვანილია ცნობები ვირგინიაში მუშათა მოძრაობის შესახებ.

„ტაიმსი“ იტყობინება: ამერიკაში ხდება პირდაპირი ომი მუშათა და მთავრობის ჯარებს შორის. ქვანახშირის მემაღაროელები ადგილობრივ სამხედრო ძალებთან ერთად უწევენ სასტიკ წინააღმდეგობას მთავრობის ჯარებს. მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა დაუყოვნებლივი განიარაღება აჯანყებულთა. გამოქცეულთა ცნობით, ნახშირის მაღაროს მუშები საუკეთესოთ არიან შეიარაღებულნი და სურსათითაც სავსებით უზრუნველყოფილნი. აჯანყებულნი იკავებენ ხელსაყრელ პოზიციებს. მიღებულ ცნობების მიხედვით აჯანყებულებს შემუშავებული აქვთ გეგმა შეტევისა მთავრობის ჯარებისაგან, დაკავებულ პოზიციების წინააღმდეგ. „ტაიმსი“ აღნიშნავს მუშათა მოძრაობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის შესაძლებლობას, მაგრამ დასძენს, რომ თვით ფაქტი ასეთი აჯანყებისა არის სიმპტომატიური და ნიშანია ამერიკაში მოსალოდნელ უსიამოვნებათა დაწყებისათვის.

აგრეთვე გაზეთი ბეჭდავს დეპეშებს ნიუ-იორკიდან, რომელშიც ნათქვამია: ლოგანში შეტაკების დროს მუშებისა და მთავრობის ჯარებს შორის მოკლულია 200 მუშა. ბრძოლის სიმწვავე მივიდა იქამდის, რომ ჯარებმა მიმართეს ჰაერო პლანებიდან ყუმბარების სროლას.

ლონდონი. „ტაიმსის“ ცნობით არეულობა ირლანდიაში გრძელდება. მოკლულია 4. დაჭრილია მრავალი. ჯარის კაცები ბრბოს ესვრიან, დაჭრილია მრავალი შემთხვევით გამვლელი ზოგიერთ ქუჩებში ამართულია ბარრიკადები.

კონსტანტინოპოლი. ოსმალთა ჯარის იერიში ანატოლიაში გრძელდება ბერძენთა ჯარი უკან იხევს.

ქემალ ფაშამ ერთა ლიგას განუცხადა, რომ ანგორა განაგრძობს ომს ბოლომდე ოსმალეთის დამოუკიდებლობისათვის.

რომი. კუნძულ კრიტზე ძლიერმა რევოლუციონურმა მოძრაობამ იფეთქა, რომელიც მიმართულია ბერძენთა წინააღმდეგ. მეამბოხეთა წინააღმდეგ გაგზავნილია ჯარი.

ნაუენი. ფილადელფიის ფინანსიური კავშირის თავმჯდომარე ნარისმა განაცხადა ევროპიელებს მართებთ ამერიკისათვის ათას მილიონ დოლარზე მეტი ოქრო. ნარისი ფიქრობს, რომ ამერიკამ დროებით უნდა უარყოს ამ სესხის აღება და დაუცადოს ევროპის ფინანსების მოგვარებას.

ნაუენი. გერმანიაში სექტემბერში პირველ მოთხოვნილების საგნების ფასები აგვისტოსთან შედარებით 600 პროც. გაიზარდა.

ნაუენი. პარიზელ გაზეთ „მატენში“ ისტორიკოსმა რენომ მოათავსა წერილი რომელიც ამბობს. პუანკარემ გამოიწვია ომი გერმანიასთან, ან და ყოველ შემთხვევაში მას არაფერი გაუკეთებია მის თავიდან ასაცდენათ. პუანკარე ამავე გაზეთში გამოვიდა საპასუხოთ,

ჟენევა. ჟენევაში დასრულდა მუშაობა ერთა ლიგის მეორე ყრილობისა პრესა აღნიშნავს მეორე ყრილობის მნიშვნელობას საერთაშორისო სასამართლოს მოწყობის გადაწყვეტისა გამო ამავე დროს გაზეთი იუწყება, რომ ერთა ლიგა მუშაობს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტის შედგენაზე, საურთიერთო შეიარაღების შემოკლებაზე პროექტი გულისხმობს სახელმწიფოების ბლოკს წინააღმდეგ ხელშეკრულების დამრღვეველთა, როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო საქმეში.

ლონდონი. ნიუიორკიდან იუწყებიან, რომ დასავლეთ ვირგინიის მთებში მუშებსა და მთავრობის ჯართა შორის ნამდვილ შეტაკება მოხდა, მუშების მხრით მონაწილეობას ღებულობდა 6000 კაცი. და მთავრობის ჯარის მხრით 15000. მთაში გაჩნდა ცეცხლი რომელიც ღებულობს უდიდეს ზომას.

პარიზი. ჟურნალი „ოფის-ბელის“ ცნობით მოსავალმა წელს საფრანგეთში ყოველს მოლოდინს გადააჭარბა, რომელიც დიდი ხანია არ უნახავს საფრანგეთს, მოგროვილია 87 მილიონი კვინტალი ხორბალი. საფრანგეთს არ დასჭირდება, როგორც [illegible] წელს პურის შემოტანა.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო თეატრი.

სეზონი აბესალომ და ეთერით გაიხსნა. სარაჯიშვილი ისევ ძველებურად კარგია. არ ქნა და არ გამოჩნდა ქართველი ქალი, რომელიც ეთერის როლს დაამშვენებდეს. მ. წდენოვის ქალი ფრიად სუსტი აღმოჩნდა. ამ სეზონის დასაწყისში ცლიოზიშვილმა მოიყვანა ბ. ინაშვილი, რომელიც ისევე მიუცილებელია მურმანის როლისთვის, როგორც სარაჯიშვილი აბესალომისათვის.

შაბათს, ოქტომბრის 9-ს ჰოფმანის ზღაპრები მიდიოდა განმეორებით. ჰოფმანის ზღაპრები ტექნიკურად ფრიად ძნელი დასადგმელია, საკვირველია, რატომ ასე დაჟინებით იმეორებენ ამ ოპერას, რომელსაც ტფ. სცენაზე უფრო დიდ სცენებზე დიდის დაბრკოლებით დგამენ. როგორც ვიცით ჰოფმანის ზღაპრები ძლიერ შეკვეცილად იდგმება ჩვენს სცენაზე. აკლია სწორედ ისეთი სცენები, რომელნიც ამ ოპერის ფანტასტიურ ხასიათს ხაზს უსვამს. შემოკლებულად დადგმული ჰოფმანის ზღაპრები რაღაც შეუფერებელ ესთეტიურ აბსურდის შთაბეჭდილებას სტოვებს.

კვირას, ოქტომბრის 9 ს ტრავიატა მიდიოდა.

პრემიერი სარაჯიშვილი. იგი უცილოდ მეფობს მთელ დასზე. გვიკვირს მხოლოდ თუ რატომ ატანს იგი თავის თავს ძალას? მისი თბილი უაღრესად ნაზი და გულმხურვალე ნიუანსებით აღსავსე, ძლიერი ხმა არ საჭიროებს ისეთ ხელოვნურ „ნერვების დაჭიმვას“, რომელსაც იგი იჩენს ალაგ-ალაგ. მისი ხმა აბსოლუტურად აღმატებულია სხვა მოთამაშეებზე, ასე, რომ თავის თავს ძალდატანება მისთვის სრულიად საჭირო არაა, ნახევარი ტონით დაბლა იგი უფრო ბუნებრივი იქნებოდა. ბუნებრიობაში [illegible] ყოველივე დიდი ხელოვანისა.

ტრავიატა-ვიოლეტა—ფრიად ჭირვეული როლია, აქ ქალბატონი [illegible] ფრიად სუსტი აღმოჩნდა. ხმა მისი სავსე არაა ბუნებრიობით, როგორც მსახიობი იგი საშუალოზე ნაკლებია, მსახიობ ქალისთვის მდიდრული ტუალეტი არ არის ყველაფერი ეს დაიმახსოვროს მან, რეჟისორს ახსოვდეს: ქვეყანაზე თითქმის ყველა დიდ სცენაზე ტრადიცია ; ტრავიატა, ჯულიეტა, დეზდემონა მუდამ შავგვრემან თმის პარიკს ატარებენ, მაშინ როცა ტრადიციულად ოფელია, გრეტხენ მუდამ ქერას. ეს შეიძლება წვრილმანია, მაგრამ მსმენელის წარმოდგენაში შემუშავებულია ერთგვარი წინასწარი აზრი, რომ იტალიელი ქალი უთუოდ შავგვრემანია, ხოლო ანგლო საქსონური გერმანული: ოფელია-გრეტხენ ბლონდინები.

ტრავიატაში უძლიერესი და უმშვენიერესი ხმა უმთავრესი როლისა, ქართველი—სარაჯიშვილია, გვიკვირს, რატომ არ იზრუნებს სახელმწიფო საოპერო თეატრის დირექცია ისეთი პიესები როგორიცაა კარმენ და ტრავიატა ქართულად დაიდგას. რუსულად თარგმნილ ევროპიულ ოპერების ქართულად დადგმას დროზე შეუდგეს სახელმწიფო თეატრი, ეს ერთგვარი პარაზიტობაა ხელოვნებაში, როცა ერი სხვისი ნაშრომ ნათარგმნით სარგებლობას არჩევს იმის ნაცვლად, რომ თვითონაც შეეცადოს თავის ენაზე გადააკეთოს ის, რისი დადგმაც საჭიროა ეროვნულ სცენაზე. ხაზგასმით უთითებთ ამ გარემოებაზე სახელმწიფო საოპერო თეატრის დირექციას, მით უმეტეს დღეს რუსულად დადგმულ ოპერებზე გარდა ძლიერ ცოტა გამონაკლისისა მხოლოდ რუსული საზოგადოება დადის.

აწინდელი მდგომარეობა ქართველობისა გვავალებს ჩვენ ყოველ დარგში და ყოველ სფეროში მეტი ენერგია გავილოთ საკუთარ ნაციონალურ ცხოვრების მოსაწყობად, ეს არ იყო სათანადოდ შეგნებული დემოკრატიული რესპუბლიკის სცენაზე, არც დღეს არის ეს გარემოება სათანადოდ გაგებული. გვეყოფა სხვისი იმედით ყოფნა, გვეყოფა პარაზიტობა.

ოდაფ.

ბუმერანგები ციდან

სისხლიანი მაკრატლებით
ტყეში თავებს გვჭრიან.
დაეცემით და მატლები
თვალებს გამოგვთხრიან.
და სიკვდილით
დილით. დილით.
მძიმე ძილით. ფერმიხდილით
სადღაც გადაგვყრიან.

უბედური და საწყლები
ღამის ჩალვადრები.-
ჩუმი როგორც გუბეს წყლები
და ღამის ჩადრები
მივალთ ბუქით. ღამით. შუქით.
მიგვათრევენ წლები.

გადატეხილ ცის კიდეზე
ქანქალობენ მთები.
გულს აწვება შიშის დეზი
ფრენის აჰანთები.
ჩვენც იქ მივალთ ჩქარა. ჩქარა.
გრძელი არის შორით მიდის
ჩვენი ცეცხლის გზა მარმარა.
მაგრამ გული არ გამხმარა
ფეთქს ადამანტებით.

ქვეყნის ზღუდეს წითლად ქარგავს
ჩუმი თერძი.
ჩაიყურა. დაიკარგა. ღამის ძირში დაებარგა
სიცოცხლის ანდერძი.
ვერა.
ვერ დაგვირჩუნს ბედისწერა.
(მას დავცინით ალმაცერა)
გადიჭრა და გადისერა მთების თეთრი გრეხილები
და ბრძოლაში წვითებ გადატეხილები-
ჩვენ დავფუშავთ ჩვენი ბედის ყველა ბაწრებს.
ჩვენ ძარღვები ამ ჯირითში
გველის ფხათი მოვწემლეთ და დავიკაწრეთ.

მივქრით. მივქრით ავი ფიქრით.
ვისი კერძი.
ვინ გაიგებს. მაგრამ გვჯერა
რომ ჩვენს ქანგებს
ვერ გაუძლებს. გადატყდება მიწის ღერძი.
და თვალებად გამოახელს ათაშანგებს.
ის ეკვატორს შემომწყვიტს...
და ყიჟინით ჩვენც დავაყრით
დაწყევლის და სიყვარულის ბუმერანგებს.
შევიჭრებით ბნელ საზღვრებში.
არ ყოფნის და მარადობის შევალთ ზვრებში
და
ჩავიცვამთ თეთრ პერანგებს.

ნიკოლოზ მიწიშვილი.

შევარდენი კახეთში

1.

სამზადისი და გამგზავრება.

დიდი ხანია, რაც შევარდენთა კავშირში ტრიალებდა აზრი, რომ ტფილისის შევარდენის საუკეთესო ძალებით მოგვეწყო მოგზაურობა კახეთში. უმთავრესი ჩვენი მიზანი იყო რასაკვირველია გაგვეცნო კახეთი, მისი ბუნება, კახთა ზნე-ჩვეულება და მასთანვე გვეჩვენებინა ხალხისათვის შევარდენი. შევარდნული ვარჯიშობის მთლიანი სურათი და დაგვეახლოვებინა შევარდენი ხალხთან. უმთავრეს მიზანს ჩვენი მოგზაურობისას კი შეადგენდა იმ დიდებულ დღესასწაულის ნახვა, რომელსაც საქართველო, მთელი ერი ალავერდობას ეძახის. ალავერდში წასვლა, ალავერდობის შესწავლა, ალავერდის ზეიმში მონაწილეობის მიღება—ეს ჩვენ დავინახეთ და მისი სისრულეში მოყვანა, მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებებისა შევძელით კიდეც. შარშანდელ ალავერდობას დასწრებოდენ ჩვენი რამოდენიმე შევარდენი და სხვათა შორის თამრიც, რომელმაც შარშან ჩამოსვლისთანავე სთქვა შევარდნებ შორის, რომ „გაისათ აუცილებლათ შევარდენი უნდა წავიდეს ალავერდშიო“ და სწორედ ეს სიტყვა თქმული ერთი წლის წინათ, მთელი წლის განმავლობაში შევარდენთ შორის დიდ აღტაცებას პოულობდა.

უკვე ზაფხულშივე შესაფერისი მუშაობა კახეთში გამგზავრებას გამო დაიწყო შევარდენთა კავშირმა. ორი თვე გრძელდებოდა სამზადისი. სამუშაო ბევრი იყო. ცეკველამ და თამრომ ვარჯიშების შედგენისთანავე შეუდგნენ შევარდენთა წრთვნას. I შევარდენის დარბაზში ამ ხნის განმავლობაში დიდი მუშაობა სწარმოებდა. საგანგებოთ ემზადებოდა ორკესტრი, ვაჟთა და ქალთა ჯგუფები თავისუფალი მოძრაობისათვის და იარაღებზე ვარჯიშობისათვის. პეტრეც ძალისაებრ გუნდს აძლიერებდა. სამეურნეო კომისიასაც არ ეძინა. კოლამ სულ შეავსო თავის ბილეთებით, მატარებლისათვის ზრუნვით და სხვა. ვასო კომისიიდან გაქცევას აპირებდა. ერთი სიტყვით მუშაობა ძლიერი იყო. უკანასკნელ ხანებში გამოირკვა წამსვლელთა რიცხვი.

ვაჟები 37, ქალები 28, მემუსიკენი 17. უკანასკნელი დღეები იყო პირდაპირ უჩვეულო, იმისათვის რომ დილა საღამოს სწარმოებდა მზადება და მასთანვე ვანო ბერიძეს ახალ ვარჯიშობის ჩართვით უმთავრეს ქალ-ვაჟთა ვარჯიშში, რომელსაც სახელათ ჰქონდა „სამშობლო“ და სწარმოებდა სამშობლოს მოტივის თანხლებით. ფეხების გასობას ასწავლიდა ვანო და თვით გურგელი გიორგითურთ სწავლობდენ ამ ლეკურის მაგვარ ვარჯიშს.

ზოგიერთი მოვარჯიშეებს გაუჭირდათ უკანასკნელი ვარჯიშის სწავლა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც კარგათ შეითვისეს.

მაშინ როდესაც დარბაზში ვარჯიშობა სწარმოებდა, განათლების კომისარიატის ტანვარჯიშობის განყოფილება დილით, მხოლოდ I შევარდენის საწერლო საღამოთი მთელ შტაბს წარმოადგენდა, საიდანაც სწარმოებდა ყოველმხრივი საორგანიზაციო მუშაობა, ვაგონები, ნებართვა, სამგზავრო ბილეთები, პლაკატები, სურათები, პროგრამები, ფული—ყველაფერი საჭირო იყო.

კახეთში კი წინდაწინ წავიდა გიგა, რომელსაც დაწვრილებითი ცნობები უნდა ჩამოეტანა ადგილებიდან, თუ რევკომები და წითელ ჯარის ქართული ნაწილები რა დახმარებას აღმოგვიჩენდენ მისვლისას ადგილებზე. თანახმად რეზოლუციებისა რევკომები და ჯარის ნაწილები აღგვითქვამდენ ყოველმხრივ დახმარებას თანახმათ ჩვენი თხოვნისა შეძლებისდაგვარად.

შაბათს 24 ენკენისთვეს დილით ყველაფერი მზათ იყო. ჩვენი ორი ვაგონი ერთი საკლასო და მეორე საბარგო უნდა დაებათ ეგრედ წოდებულ მუშათა მატარებლისათვის. რომელიც კვირაში ერთხელ დადიოდა კახეთში ვინაიდან სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა საერთოდ შეჩერებული იყო.

12 საათისათვის მივემგზავრებით სადგურზე. ვაგონში ადგილები განაწილებულია. ყველა კუპეს თავისი წარწერა აქვს: მემუსიკენი, კომისია, ქალთა განყოფილება, ვაჟთა განყოფილება. გურგელა ნიშნავს ვაჟთა განყოფილების უფროსათ გიორგის, მხოლოდ ქალთა განყოფილების უფროსათ თამრის. მოგზაურობის დროს დიქტატორობა მე მხვდა.

შევარდენთა ერთი გუნდი ალამაზებს ვაგონს გარედან. სწრაფად მთელ ვაგონს მშვენიერი წარწერა „შევარდენი“ ლამაზად აძლევს. პლაკატებიც ამშვენებს ვაგონს: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“, „ძალა ღონისა აღმაფრენა შევარდენისა“, „შევარდენს მოაქვს საქართველოს მშრომელ ხალხისათვის გაჯანსაღება“.

ორი საათი იყო, რომ შეუდგა მატარებელი გზას კახეთისას.

ნელ ნელა მიდის მატარებელი. დიდხანს ვიდექით კახეთის ნავთლუღში, საიდანაც გავუშვით შეშებით დატვირთული მატარებელი ჩვენ მისვლამდე ვაზიანისაკენ. დადგენილი იყო საღამოს რომ მივაღწიეთ, სადაც დილამდის უნდა გვეჩერებულიყავით ბრძანებისამებრ.

გათენდა თუ არა, გავემგზავრეთ. გადადის და გადმოდის მატარებელი, ასე გვგონია, ზღვით მოგზაურობთ, ისე ქანაობს, რაც მიზეზია კახეთის რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭებისა.

შუადღისას თელავში ვართ. გადმოვედით, გადმოვალაგეთ ტანვარჯიშო იარაღები. მეხუთე ქვეითთა ათასეულის საბარგულზე დავალაგეთ იარაღები და ბარგი და შევუდექით ქ. თელავს, რომელიც სადგურიდან ოთხი ვერსის მანძილზეა. გზაში შემოგვხვდა თელავის შევარდენი ტანსაცმლებში თავის ვარჯიშთავით კოლა ზაალდასტანიშვილითურთ.

ბინადრობა გვქონდა ქალთა წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიაში, სადაც დიდის სიხარულით შემოგვეგება ჩვენი კარგი მასპინძელი, თელავის შევარდენის თავმჯდომარე გიმნაზიის დირექტორი პეტრე ჩარექიშვილი. ნასადილევსვე შევუდექით მუშაობას.

ვიყავით ათასეულში, სადაც დავპირდით ორთვალას ალავერდისათვის. როგორც ათასეულის უფროსი მოქ. აბესენტი ამბაძე, ისე მთელი კომშემადგენლობა მეტად თავაზიანი იყვნენ. ასევე იყო რევკომის თავმჯდომარე მოქ. სამსონ ცინცაძე და სასურსათო კომისარი მოქ. ერმილე ხავთასი, რომელმაც სამი დღის სურსათით უზრუნველგვყვეს. ყოველივე საქმის მოგვარებაში ხელს გვიწყობდა მოქ. პეტრე ჩარექიშვილი. ასე რომ ალავერდისათვის მზათ ვიყავით. გამგზავრება ორშაბათ დილისათვის დავნიშნეთ. ჩვენთან მოდიოდენ აგრეთვე თელაველი შევარდნები.

დილის 10 საათზე გადაწყვეტილი იყო წასვლა.

ი. ახლაბიშვილი.

მოწერილი ამბები

დ. ბაღდადი. ამ წერილის მიზანია აღნიშნოს ის ღვაწლი, რომელიც გასულსა და აწინდელ (1920-1921 წ.) ზაფხულში თავის მშობლიურ მხარის წინაშე მიუძღვის ღრმად პატივცემულ პროფესორს, ნიკოლოზ კახიანს. მე მოგახსენებთ მის მოღვაწეობაზე დ. ბაღდათში.

გასულს 1920 წ. და აწინდელს 192‒ წ. ნ. კახიანი დ. ბაღდათში ეწეოდა თავდაუზოგავ სამკურნალო მუშაობას. ავადმყოფთათვის შეეცადა სასწრაფო და უანგარო დახმარების აღმოჩენის სახით. გული სიხარულით გვევსებათ, როდესაც ასეთ პიროვნებას ჰხედავთ მშობლიურ კერასთან. მეტად სასიხარულო მოვლენაა, როდესაც ადამიანი არ გაექცევა და, პირიქით, დახმარებასაც უწევს იმ გარემოს, ერისა და საზოგადოების იმ ნაწილს, რომელთანაც აღიზარდა, მიიღო პირველი სახე და პირველადვე გადადგა ნაბიჯი განსაზღვრული მიმართულებით.

პატივცემულ პროფესორის პიროვნება და მოღვაწეობა მით უფრო მეტად საყურადღებო და სიმპატიური, რომ ეს ახალგაზრდა მეცნიერი დიდი სიფრთხილითა და სიდინჯით ეპყრობა თავის საქმეს—ოპერაციების კეთებას. ამას ერთვის მისი დიდი, ღრმა მეცნიერული განსწავლა თავის სპეციალურ დარგში. დიდია ოპერაციების რიცხვი, რომელიც—პროფესორის მიერ იყო გაკეთებული. მისდა სასიქადულოთ სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ უბედური შემთხვევას, ავადმყოფის სიკვდილს, არც ერთხელ არ ჰქონია ადგილი.

ყველა ამასთან ერთად ყურადღებას იპყრობს ამ პიროვნების სრული უანგარობა, ავადმყოფების უსახსრობისადმი გულწრფელი თანაგრძნობა. თანამედროვე ცხოვრების ეკონომიური პირობების სიდუხჭირემაც ვერ იქონია ვერავითარი ზეგავლენა პატივცემულ პროფესორზე. ავადმყოფთაგან იგი არ მოითხოვდა ჯილდოს ექიმობისთვის, რაც თავისთავად არ შეეფერება პიროვნების მაღალ ღირსებებს.

საექიმო ჯილდოს რაოდენობა, ან მისი გადახდა—[illegible] ავადმყოფისგან იყო დამოკიდებული.

ბ.-ნ ნიკოლოზ კახიანის [illegible] ზემოხსენებულის გამო [illegible] პოპულარულია, რასაც ადგილობრივი საზოგადოება, მთელი ბაღდათის რაიონი დიდად აფასებს. მაგრამ აკადემიური წელი დგება და იგი ჩვენი დედა ქალაქისაკენ გაემგზავრება, ერის საუკეთესო ნაწილის ნორჩ სტუდენტობის აღზრდისა და განსწავლის საწარმოებლად. ჩვენ, ადგილობრივი საზოგადოება, რა თქმა უნდა, მეტის სიმწვავით ვგრძნობთ მის გამგზავრებას. მაგრამ ამ სიმწვავეს გვიამსუბუქებს ის რწმენა, რომ იქ, ჩვენს დედა ქალაქში, იგი ზრდის ერის საამაყო შვილებს, ნამდვილ მამულიშვილებს. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი ზაფხულშიც აქ გვეყოლება ჩვენი საყვარელი პროფესორი. ამ იმედებით ჩვენ ვურიგდებით მის განშორებას. ქართველმა ხალხმა იცის თავის მოღვაწის დაფასება და ამის გამო, ადგილობრივ საზოგადოების გულში მადლობის გრძნობა დიდი სიძლიერით ფეთქს.

ნიკოლოზ დემეტრაძე.

დადგენილება № 82

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოს საგანგებო დანიშნულების ნაწილთა ხელმძღვანელობის გაერთიანებისათვის, საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაარსდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საგანგებო დანიშნულების ნაწილთა შტაბი, ნაწილთა უფროსის მეთაურობით.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საგანგებო დანიშნულების ნაწილთა უფროსად დაინიშნოს ამხ. მიხეილი (ვალოდია) ხუტულაშვილი.

3. საგანგებო დანიშნულების ნაწილთა უფროსს ენიჭება, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრისა და არმიის უფროსის მოადგილეთა უფლებები.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ხ. ქავთარაძე.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 7.
ტფილისი სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

დაიკარგა მატრიკული, № 782 მოცემული პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ნიკოლოზ სააკოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3.

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან მოცემული მატრიკული, ჩაითვალოს გაუქმებულად. ნინა კაკაბაძე.

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მარ. მაჩაიძე
(ყოფ. გიმნაზიის დამთავრებ. და გამგე)
ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საშემოდგომო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვადა ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1284

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის უწყების ქვეშ მყოფი
პირველი ქართული საბუხჰალტერიო კურსები
ალ. გ. საათაშვილისა
ბუხჰალტერიის ყველა საგნების სწავლა სპეციალურად ქართულ ენაზე. პირობის გაგება შეიძლება დილის 9—12 საათამდე და ნაშუადღევს 3—7 საათამდე. მისამართი: ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (1-ლი სამილიციო უბანი), უნივერსიტეტთან ახლოს. ტრამვაის ვაგ. № 5.

ტირაჟი 1000 [illegible] 14.